

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: ფართოდება მოსწავლის ლექსიკური მარაგი; მოზარდი უკვე აქტიურად იყენებს ფრაზეოლოგიზმებსა და ხატოვან სიტყვა-თქმებს; ეფექტურად იყენებს სიტყვათა ლექსიკურ კავშირებს, აწარმოებს ახალ სიტყვებს; ესმის სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარების დანიშნულება სათქმელის ხატოვნად და ამომწურავად გადმოცემის პროცესში.

გრამატიკული ასპექტი: აცნობიერებს ბრუნვის ფორმათა ფუნქციონირების მრავალფეროვნებას და სათანადო სიტყვაფორმებს არჩევს კონტექსტური მნიშვნელობების გამოსახატავად; განარჩევს ზმნის დრო-კილოთა ნაირსახეობებს და შესაბამის კონტექსტებში იყენებს ამ პარამეტრების მიხედვით შერჩეულ სათანადო ფორმებს; ამოიცნობს ტექსტში ძირითად მოდალობებს; კითხვის დასმის, თხოვნის, ბრძანების, გრძნობების გადმოცემის დროს იცავს სიტყვათა რიგს და მოდალობებისთვის დამახასიათებელ ინტონაციურ თავისებურებებს; ადარებს სიტყვებს მორფოლოგიური აგებულების თვალსაზრისით (სახელის ბრუნვის ფორმების, სახელური სიტყვაწარმოების ძირითადი წესების მიხედვით, შეუძლია ზმნური სიტყვაფორმების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე საერთო ფუძის გამოყოფა); ამოიცნობს და იყენებს მნიშვნელოვან სინტაქსურ მიმართებებს სიტყვათა შორის (ზმნასა და სახელს შორის შეთანხმებას პირსა და რიცხვში, რიცხვითი და/ან ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ბრუნების წესებს...); შეუძლია კითხვების მეშვეობით ამოიცნოს ზოგი გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორია („ვინ“ და „რა“ ჯგუფის სახელები, ზმნის დროები...).

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი თემატიკა: ჯგუფთან ერთად საკომუნიკაციო ამოცანის დაგეგმვა, მომზადება და გადაჭრა; გუნდური განაწილების პრინციპით საკითხის მომზადება და ერთობლივი მოხსენების წარმოდგენა; სადისკუსიო სტრატეგიები და ხერხები (მსჯელობის მიზანი, არგუმენტი და დასკვნა); სადისკუსიო ეტიკეტი და სტრატეგიები (ნათლად, გასაგებად ჩამოყალიბებული პოზიცია, არგუმენტები); არგუმენტის სახეები (ფაქტობრივი, ანალოგიაზე დამყარებული). მასალის მოპოვება, დამუშავება და კითხვის სტრატეგიები (სხვადასხვა ლექსიკონებითა და ენციკლოპედიებით სარგებლობა). ენის განსხვავებული ფუნქციური სტილი (სასაუბრო, სასწავლო-სამეცნიერო, მხატვრულ-ლიტერატურული); ტექსტის ტიპები: პრესაში გამოქვეყნებული სხვადასხვა ხასიათის სტატიები (სათავგადასავლო, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, შემეცნებითი, იუმორისტული); მიზნობრივი ტექსტების აგების პრინციპები (დაკვირვება ენობრივ-სტილურ საშუალებებსა და ლექსიკაზე), ეპისტოლარული ჟანრი (თხრობა, მსჯელობა, აღწერა კონკრეტული ადრესატისთვის).

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ძირითადი თემატიკა: მოთხრობები ბავშვთა ოცნებებსა და ფანტაზიებზე, მათს ცხოვრებაზე, ზნეობრივ პრობლემებზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე; პატრიოტული და სამოქალაქო ჟღერადობის, ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები.

საკითხავი მასალა: ფოლკლორული ჟანრები: ზღაპარი, ბალადა, ლექსები, თქმულებები, ლეგენდები (ქართული და უცხოური); იგავ-არაკები, დიდაქტიკური ხასიათის თხზულებები, ბიბლიური მოთხრობები, სახარებისეული იგავები; სხვადასხვა ეპოქის ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა ნაწარმოებები (ადაპტირებული და შემოკლებული ტექსტები), ქართული ლირიკის ნიმუშები; თანამედროვე ქართული პროზის ნიმუშები.